



6646726015996

www.ecd.court.ge

თბილისის საქალაქო სასამართლო
დავით აღმაშენებლის ხეივანი N64

საქმე №3/2660-20

31.03 2021 წელი

ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

მის: თბილისი, ტ.შევჩენკოს ქ. 20

ტელ: 599 77 010 00

გეგზავნებათ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის
მოსამართლე ნათია ზუსკაძის თანაშემწე

ნინო მაღალდაძე



გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

25 თებერვალი, 2021 წელი

ქ. თბილისი

შესავალი ნაწილი
თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ნათია ბუსუკაძე
სხდომის მდივანი ნინო თალაკვაძე

მოსარჩელე - ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

წარმომადგენლები - ლევან ავალიშვილი, ნატალია ახალაძე, სალომე ჩხაიძე

მოპასუხე - ა(ა)იპ „მედიაკადემია“

წარმომადგენლები - თამთა ივანიშვილი, ლაშა ზურაბიანი

დავის საგანი - ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი

1. სასარჩელო მოთხოვნა

1.1. დაევალოს მოპასუხე - ა(ა)იპ „მედიაკადემიას“ გასცეს ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2020 წლის 24 იანვრის FIO 01/20-010 განცხადების მე-4, მე-6 და მე-8 პუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დაფარვით (დეპერსონალიზაციით). (შემცირებული სასარჩელო მოთხოვნა, იხ.: 04.02.2021 წლის სასამართლოს სხდომის ოქმი).

2. მოპასუხის პოზიცია

2.1. მოპასუხე - ა(ა)იპ „მედიაკადემიის“ წარმომადგენლები არ დაეთანხმნენ სასარჩელო მოთხოვნას და მოითხოვეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.



3. ფაქტობრივი გარემოებები

3.1. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

3.1.1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 02 აგვისტოს №455/22 გადაწყვეტილებით, საზოგადოებაში მედიაწიგნიერების განვითარებისა და მისი ხელშეწყობის მიზნების მისაღწევად, დაფუძნდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მედიააკადემია“. ამავე გადაწყვეტილებით კომისიამ მიიღო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მედიააკადემია“ წესდება და კომისიის აპარატის სამართლებრივ დეპარტამენტს დაევალა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მედიააკადემია“ რეგისტრაციაში გატარების მიზნით შესაბამისი დოკუმენტაციის სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ წარდგენა.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 02 აგვისტოს №455/22 გადაწყვეტილება (ს.ფ. 35-37);
- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მედიააკადემია“ წესდება (ს.ფ. 38-44).

3.1.2. 2018 წლის 10 აგვისტოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში განახორციელა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - მედიააკადემიის (ს/ნ 406254039) რეგისტრაცია.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (ს.ფ. 57-58).

3.1.3. დადგენილია, რომ 2020 წლის 24 იანვარს ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა FIO 01/20-010 განცხადებით მიმართა ა(ა)იპ „მედიააკადემიას“ და მოითხოვა შემდეგი ინფორმაცია/დოკუმენტაცია:

1. ააიპ „მედიააკადემიის“ 2018 და 2019 წლების დამტკიცებული ბიუჯეტი და მათი შესრულების ანგარიშები ცალ-ცალკე და 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი.
2. ააიპ „მედიააკადემიაში“ დასაქმებული თანამშრომლების საშტატო ნუსხა თანამდებობრივი სარგოების მითითებით.
3. ააიპ „მედიააკადემიაში“ დასაქმებულ თანამშრომლებზე 2018-2019 წლებში გაცემული ფულადი ჯილდოები და დანამატები.
4. ააიპ „მედიააკადემიაში“ ხელშეკრულებით დასაქმებულთა შესახებ ინფორმაცია (ხელშეკრულების საგნისა და ყოველთვიური ანაზღაურების მითითებით).
5. ააიპ „მედიააკადემიის“ მიერ კომუნიკაციების ეროვნული კომისიისათვის წარდგენილი

ანგარიშები.

6. ააიპ „მედიააკადემიის“ 2018 და 2019 წლის რეკლამის დამზადებისა და განთავსების ხარჯები ცალ-ცალკე, დამზადებისა და განთავსების ადგილის მითითებით.

7. ააიპ „მედიააკადემიაში“ მოქმედი „მედიალაბის“, „მედიაკრიტიკისა“ და „მედიასკოლის“ ფუნქციების განმსაზღვრელი სამართლებრივი აქტების ასლები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

8. „მედიალაბის“, „მედიაკრიტიკისა“ და „მედიასკოლის“ ფარგლებში განხორციელებული აქტივობების ჩამონათვალი, თითოეულის დეტალური ხარჯების მითითებით, მათ შორის მოწვეული ექსპერტების ანაზღაურების ჩათვლით.

9. „მედიალაბის“, „მედიაკრიტიკისა“ და „მედიასკოლის“ პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით ააიპ „მედიააკადემიასა“ და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას შორის არსებული ოფიციალური მიმოწერის ასლები.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2020 წლის 24 იანვრის FIO 01/20-010 განცხადება (ს.ფ. 18-19).

3.1.4. ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ 2020 წლის 31 იანვრის წერილით ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს ეცნობა, რომ ა(ა)იპ „მედიააკადემია“ არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც არ ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს, შესაბამისად, არც ორგანიზაციულ-სამართლებრივი, არც ფუნქციური გაგებით არ არის ადმინისტრაციული ორგანო და არ ფინანსდება სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით. შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.

ამავე წერილში ა(ა)იპ „მედიააკადემიამ“ მიუთითა, რომ ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ და მისი ცალკეული მიმართულებების მიზნობრივი დაფინანსების წყაროა აკადემიის დამფუძნებლების, სსიპ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გამოყოფილი სახსრები, რომლებსაც აკადემია განკარგავს. ინფორმაცია აკადემიის დაფინანსების წყაროს შესახებ საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. რაც შეეხება თანამშრომლების თანამდებობრივ სარგოებს, ა(ა)იპ „მედიააკადემიამ“ აღნიშნა, რომ ეს ინფორმაცია დაკავშირებულია ცალკეულ პირთა პერსონალურ მონაცემებთან. ამასთან, ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს ეცნობა, რომ 2018-2019 წლებში ა(ა)იპ „მედიააკადემიაში“ დასაქმებულ თანამშრომლებზე ფულადი ჯილდოები ან დანამატები არ გაცემულა, ხოლო მედიასკოლის მიერ ჩატარებული ტრენინგების თემები და ლექტორებზე დეტალური ინფორმაცია განთავსებულია ბმულზე: <https://gncc.ge/ge/mediaacademy>.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ 2020 წლის 31 იანვრის წერილი (ს.ფ. 20).



3.1.5. ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა 2020 წლის 28 თებერვალს CPT01/20-010 ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას და ა(ა)იპ „მედიააკადემიისთვის“ 2020 წლის 24 იანვრის FIO 01/20-010 განცხადების მე-2, მე-4, მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის დავალება მოითხოვა.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2020 წლის 28 თებერვლის CPT01/20-010 ადმინისტრაციული საჩივარი (ს.ფ. 27-34).

3.1.6. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2020 წლის 12 მარტის №გ-20-12/319 გადაწყვეტილებით ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ადმინისტრაციული საჩივარი (№შ-20-6/1090; 2.03.2020წ.) დარჩა განუხილველი.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით კომისიამ მიიჩნია, რომ ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა სცდებოდა მის უფლებამოსილებას.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2020 წლის 12 მარტის №გ-20-12/319 გადაწყვეტილება (ს.ფ. 45-56).

სამოტივაციო ნაწილი

4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

საქმეში არსებული მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებისა და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის სარჩელი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

5. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი.



6. სამართლებრივი შეფასება

6.1. საერთაშორისო სამართლის რიგი უმნიშვნელოვანესი წყაროები (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, ასევე რეგიონალური მნიშვნელობის - კერძოდ ევროპის საბჭოს ფარგლებში მოქმედი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი - ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია), განსაზღვრავენ რა ადამიანის იმ ძირითად უფლებებს, რომლებიც კაცობრიობის განვითარების დღევანდელ ეტაპზე განუხსვრისებელია ყოველი გონიერი არსებისაგან, ადგენენ მათი დაცვის გარანტიებსა და ასეთი დაცვის განხორციელების საზედამხედველო მექანიზმებს, ერთ-ერთ უმთავრეს უფლებად, სწორედ სასამართლოსადმი მიმართვის, ასევე სამართლიანი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოთი პირის უზრუნველყოფის ვალდებულებას აწესებენ.

საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს, რომელიც საქართველოს კონსტიტუციით, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოში პირდაპირ მოქმედებს, ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ევროპული კონვენცია წარმოადგენს. კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს მისი სამოქალაქო უფლებების და მოვალეობების განსაზღვრისას საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლება აქვს გონივრულ ვადაში დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ, რომელიც შექმნილია კანონის საფუძველზე.

კონვენციის ეს ნორმა რეგლამენტირებულია ასევე საქართველოს კონსტიტუციაში, რომლის 31-ე მუხლი ადგენს, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის სამართლიანი სასამართლოს (fair trial) მარეგულირებელი ცენტრალური ნორმაა, რომელშიც მოცემულია მნიშვნელოვანი სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი საპროცესო გარანტიები.

6.2. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან რაიმე მოქმედებისაგან თავის შეკავება პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რეალური მოქმედების (რეალაქტის) განხორციელებით, ან ასეთი მოქმედების განუხორციელებლობით დაინტერესებული პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის სამართლებრივ საშუალებას, კერძოდ, განმცხადებელს უფლება აქვს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზე სარჩელი შეიტანოს სასამართლოში, მოქმედების განხორციელების (რასაც მოცემულ შემთხვევაში აქვს ადგილი), ან მოქმედების განხორციელებისგან თავის შეკავების მოთხოვნით. ქმედების განხორციელების თაობაზე სარჩელი წარმოადგენს მავალდებულებელი სარჩელის ერთ-ერთ სახეს, რომლის მიზანია ისეთი ქმედების განხორციელება, რომელიც არ გულისხმობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხეს დაევალოს გასცეს ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2020 წლის 24 იანვრის FIO 01/20-010 განცხადების მე-4, მე-6 და მე-8 პუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დაფარვით (დეპერსონალიზაციით).

6.3. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ან სხვა ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიცავს კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად კანონით ან კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად.

საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული უფლება განმტკიცებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, რომლის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი. ამ უფლების რეალიზაციის მექანიზმი განსაზღვრულია კოდექსის III თავში.

საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის პრინციპის რეგლამენტაცია ემსახურება საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო აქტებით აღიარებული ინფორმაციის და გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციას. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ 2020 წლის 24 იანვარს ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა FIO 01/20-010 განცხადებით მიმართა ა(ა)იპ „მედიაკადემიას“ და მოითხოვა შემდეგი ინფორმაცია/დოკუმენტაცია: 1. ააიპ „მედიაკადემიის“ 2018 და 2019 წლების დამტკიცებული ბიუჯეტი და მათი შესრულების ანგარიშები ცალ-ცალკე და 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი; 2. ააიპ „მედიაკადემიაში“ დასაქმებული თანამშრომლების სამტატო ნუსხა თანამდებობრივი სარგოების მითითებით; 3. ააიპ „მედიაკადემიაში“ დასაქმებულ თანამშრომლებზე 2018-2019 წლებში გაცემული ფულადი ჯილდოები და დანამატები; 4. ააიპ „მედიაკადემიაში“ ხელშეკრულებით დასაქმებულთა შესახებ ინფორმაცია (ხელშეკრულების საგნისა და ყოველთვიური ანაზღაურების მითითებით); 5. ააიპ „მედიაკადემიის“ მიერ კომუნიკაციების ეროვნული კომისიისათვის წარდგენილი ანგარიშები; 6. ააიპ „მედიაკადემიის“ 2018 და 2019 წლის რეკლამის დამზადებისა და განთავსების ხარჯები ცალ-ცალკე, დამზადებისა და განთავსების ადგილის მითითებით; 7. ააიპ „მედიაკადემიაში“ მოქმედი „მედიალაბის“, „მედიაკრიტიკისა“ და „მედიასკოლის“ ფუნქციების განმსაზღვრელი სამართლებრივი აქტების ასლები, ასეთის არსებობის შემთხვევაში; 8. „მედიალაბის“, „მედიაკრიტიკისა“ და „მედიასკოლის“ ფარგლებში განხორციელებული აქტივობების ჩამონათვალი, თითოეულის დეტალური ხარჯების მითითებით, მათ შორის მოწვეული ექსპერტების ანაზღაურების ჩათვლით; 9. „მედიალაბის“, „მედიაკრიტიკისა“ და „მედიასკოლის“ პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით ააიპ „მედიაკადემიასა“ და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას შორის არსებული ოფიციალური მიმოწერის ასლები.

დადგენილია ასევე, რომ ა(ა)იპ „მედიაკადემიის“ 2020 წლის 31 იანვრის წერილით ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს ეცნობა, რომ ა(ა)იპ „მედიაკადემია“ არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც არ ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს, შესაბამისად, არც ორგანიზაციულ-სამართლებრივი, არც ფუნქციური გაგებით არ არის ადმინისტრაციული ორგანო და არ ფინანსდება სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით. შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.

სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს მოპასუხეზე - ა(ა)იპ „მედიაკადემიაზე“ ვრცელდება თუ არა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის (ინფორმაციის თავისუფლება) მოქმედება.

6.4. სასამართლო აღნიშნავს, რომ ინფორმაციის თავისუფლება გულისხმობს საჯარო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და მიღების უფლებას (გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოებისთვის ან პერსონალური მონაცემებისთვის მიკუთვნებული ინფორმაციისა), ხოლო საჯარო ინფორმაციის გაცემის სუბიექტს წარმოადგენს ყველა ის საჯარო დაწესებულება, რომელსაც გააჩნია სათანადო საჯარო ინფორმაცია ან ხელი მიუწვდება მასზე. საჯარო დაწესებულების ცნება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის მიზნებისათვის განმარტებულია ამავე თავის 27-ე მუხლში, რომლის თანახმადაც, ის მოიცავს ადმინისტრაციულ ორგანოს და სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებულ კერძო სამართლის პირს ასეთი დაფინანსების ფარგლებში. შესაბამისად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ინფორმაციის გაცემის ვალდებულებას აკისრებს არა მხოლოდ სახელმწიფო უწყებებს, არამედ საჯარო დაწესებულებებს, რომელთა ცნებაც უფრო ფართოა და მოიცავს ადმინისტრაციულ ორგანოს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით კანონმდებელი ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს ცნებას, რომლის თანახმადაც, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ცნების ლეგალური დეფინიცია ორი ნაწილისაგან შედგება, კერძოდ, დეფინიციის პირველი ნაწილი მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ცნებას - ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანობისა და დაწესებულებებს. ხოლო, ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციონალური გაგება, რომელიც ცნების მეორე ნაწილშია მოცემული, აერთიანებს იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც არ არიან სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სისტემის სუბიექტები, მაგრამ კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული ორგანოს ორგანიზაციული გაგება გულისხმობს იმას, რომ ადმინისტრაციული ორგანო ასრულებს თავის საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს. ფუნქციონალური გაგება კი იმას გულისხმობს, რომ „ნებისმიერი სხვა პირი“ საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას ახორციელებს დელეგირების, ანუ სახელმწიფოს მხრიდან მის მიმართ უფლებამოსილების გადაცემის საფუძველზე. „ნებისმიერ სხვა პირში“ იგულისხმება კერძო სამართლის იურიდიული პირები. როგორც წესი, კერძო სამართლის იურიდიულ პირები არ არიან უფლებამოსილნი, გამოიყენონ საქმიანობის საჯარო-სამართლებრივი ფორმები, თუმცა, კანონის საფუძველზე, სახელმწიფოს შეუძლია აღჭურვოს ეს პირები საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებებით.

სასამართლო მიუთითებს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებზე, რომლის თანახმადაც, მაუწყებლობის სფეროში საქმიანობას არეგულირებს კომისია. კომისია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მუდმივმოქმედი ეროვნული მარეგულირებელი ორგანო, რომელიც არ ექვემდებარება არცერთ სახელმწიფო უწყებას. კომისია არ არის სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (დაწესებულება) ან საჯარო სამართლის კორპორაცია. კომისიის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ კანონით მითითებული სამართლებრივი ნორმის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მაუწყებლობის სფეროში კომისიის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს საზოგადოებაში მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობა.

ამავე საკანონმდებლო აქტის 14¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობის, მათ შორის, საზოგადოებაში მედიაწიგნიერების მდგომარეობის შეფასების, გამოწვევების იდენტიფიცირების და მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობის კვლევების ჩატარების, საზოგადოების სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისა და სხვა ჯგუფებისათვის (ბავშვები და მათი მშობლები, მასწავლებლები, მედიის წარმომადგენლები და სხვა) სპეციალური სასწავლო კურსების ჩატარების/პროგრამების განხორციელების, მიზნით კომისია უფლებამოსილია დააფუძნოს მედიაწიგნიერების სასწავლო-კვლევითი ცენტრი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. კომისია უფლებამოსილია აღნიშნული მიზნების მისაღწევად, სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით შექმნას მედიაწიგნიერების განვითარების ქსელი/პლატფორმა, ვებგვერდი.

განსახილველ შემთხვევაში, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 02 აგვისტოს №455/22 გადაწყვეტილებაზე (ი.ხ. ს.ფ. 35-37) და ამავე გადაწყვეტილებით მიღებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მედიაკადემია“ წესდების (ი.ხ. ს.ფ. 38-44) შინაარსზე, რომლითაც ირკვევა, რომ ა(ა)იპ „მედიაკადემია“ დაფუძნებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის კანონმდებლობით მინიჭებული საჯარო-სამართლებრივი ფუნქციის განსახორციელებლად, კერძოდ, საზოგადოებაში მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობის მიზნით და ა(ა)იპ „მედიაკადემიას“ საქმიანობის ძირითად მიზანს სწორედ საზოგადოებაში მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს.

სასამართლო მოიხმობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 18 მარტის ბს-127(გ-20)) განჩინებას, რომლითაც საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „..... დელეგირებისას კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანო მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლება-მოვალეობებს გადასცემს მესამე პირს, რომელიც შესაძლოა იყოს როგორც კერძო პირი, ასევე ადმინისტრაციული ორგანო. დელეგირების შედეგად სუბიექტი აღიჭურვება კონკრეტულ სფეროში საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებებით და მოქმედებს მინიჭებული უფლება-მოვალეობების ფარგლებში. ამასთანავე, დელეგირებული უფლებამოსილებების მოცულობა, ვადა და სუბიექტი განისაზღვრება შესაბამისი საჯარო-სამართლებრივი ფუნქციის მატარებელი ორგანოს მიერ. დელეგირება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის, ასევე ფუნქციის მიმღებ სუბიექტთან შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებით ან მათი ერთობლივი გამოყენებით.“

ამდენად, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის და 14¹ მუხლის მე-3 პუნქტის დეფინიციიდან გამომდინარე და საქმეში არსებული მასალების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ა(ა)იპ „მედიაკადემია“ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს ფუნქციონალური გაგებით, რამდენადაც ეს უკანასკნელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით კერძო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე ჩამოყალიბებულია საჯარო უფლებამოსილების განსახორციელებლად, კერძოდ, საზოგადოებაში მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობის მიზნით. შესაბამისად, ვინაიდან ა(ა)იპ „მედიაკადემია“ უფლებამოსილების დელეგირების შედეგად ახორციელებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას და აღნიშნულ ფარგლებში ფუნქციურად მოქმედებს როგორც ადმინისტრაციული ორგანო, იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია ა(ა)იპ „მედიაკადემიის“ მიერ ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელებასთან ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის მოქმედება.

6.5. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია, მათ შორის ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს: ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას; ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას; გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის №1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“), „საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით დაცული უფლება საზოგადოების თითოეულ წევრს აძლევს შესაძლებლობას, იყოს ინფორმირებული მისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე და აქტიურად ჩაერთოს სახელმწიფო თუ ადგილობრივი საკითხების განხილვასა და განხორციელებაში. ეს ყოველივე ემსახურება, საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საზოგადო მიზანს - საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებისა და სახელმწიფო საქმიანობაში სამოქალაქო ჩართულობის უზრუნველყოფას. სწორედ ამ მიზნების მისაღწევად, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი პირებს აძლევს შესაძლებლობას, მოითხოვონ და მიიღონ საჯარო დაწესებულებაში დაცული მათთვის საინტერესო ინფორმაცია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ღია მმართველობა არსებითად მნიშვნელოვანია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო დაწესებულებებსა და მოქალაქეებს შორის ნდობის განსამტკიცებლად,

სამართალდარღვევების (მაგალითად, კორუფცია, ნეპოტიზმი, საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა) პრევენციისა და არსებული დარღვევების დროულად გამოსავლენად“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის №1/4/757 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-5)“.

სასამართლო მოიხმობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტს, რომლითაც კანონმდებელი განმარტავს საჯარო ინფორმაციის ცნებას, კერძოდ, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

ამავე კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოებისთვის ან პერსონალური მონაცემებისთვის მიკუთვნებული ინფორმაციისა.

სასამართლო ასევე მოიხმობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „რ“ პუნქტს, რომლის თანახმადაც, მონაცემთა დეპერსონალიზაცია არის მონაცემთა იმგვარი მოდიფიკაცია, რომ შეუძლებელი იყოს მათი დაკავშირება მონაცემთა სუბიექტთან ან ასეთი კავშირის დადგენა არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას, ხარჯებსა და დროს საჭიროებდეს.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვს 2020 წლის 24 იანვრის FIO 01/20-010 განცხადების მე-4, მე-6 და მე-8 პუნქტებში მითითებული ინფორმაციის წარდგენას პერსონალური მონაცემების დაფარვით (დეპერსონალიზაციით), კერძოდ, ააიპ „მედიაკადემიაში“ ხელშეკრულებით დასაქმებულთა შესახებ ინფორმაცია (ხელშეკრულების საგნისა და ყოველთვიური ანაზღაურების მითითებით); ააიპ „მედიაკადემიის“ 2018 და 2019 წლის რეკლამის დამზადებისა და განთავსების ხარჯები ცალ-ცალკე, დამზადებისა და განთავსების ადგილის მითითებით; „მედიალაბის“, „მედიაკრიტიკისა“ და „მედიასკოლის“ ფარგლებში განხორციელებული აქტივობების ჩამონათვალი, თითოეულის დეტალური ხარჯების მითითებით, მათ შორის მოწვეული ექსპერტების ანაზღაურების ჩათვლით. სასამართლოს შეფასებით, მითითებული ინფორმაცია მიეკუთვნება საჯარო ინფორმაციას, რომლის დეპერსონალიზაციით გაცემაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. შესაბამისად, მოპასუხე ვალდებულია გასცეს ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2020 წლის 24 იანვრის FIO 01/20-010 განცხადების მე-4, მე-6 და მე-8 პუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დაფარვით (დეპერსონალიზაციით).

6.6. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33¹ მუხლის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი ნორმების საფუძველზე სასამართლო მიიჩნევს, რომ ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის სარჩელი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს. მოპასუხეს - ა(ა)იპ „მედიაკადემიას“ უნდა დაევალოს გასცეს ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2020 წლის 24 იანვრის FIO 01/20-010 განცხადების მე-4, მე-6 და მე-8 პუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დაფარვით (დეპერსონალიზაციით).

6. საპროცესო ხარჯები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. დადგენილია, რომ მოსარჩელემ სარჩელის აღძვრისას გადაიხადა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟი - 100 ლარი. ამდენად, სარჩელის დაკმაყოფილების პირობებში, მოპასუხე ა(ა)იპ „მედიაკადემიას“ უნდა დაეკისროს სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - 100 (ასი) ლარის ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის სასარგებლოდ ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, 24-ე, 33¹ მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 53-ე, 244-ე, 248-ე, 249-ე, 257-ე, 364-ე, 367-ე, 369-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის სარჩელი დაკმაყოფილდეს;



2. დაევალოს მოპასუხე ა(ა)იპ „მედიააკადემიას“ გასცეს ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2020 წლის 24 იანვრის FIO 01/20-010 განცხადების მე-4, მე-6 და მე-8 პუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დაფარვით (დეპერსონალიზაციით);

3. მოპასუხე ა(ა)იპ „მედიააკადემიას“ დაეკისროს სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ზაჟის - 100 (ასი) ლარის ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის სასარგებლოდ ანაზღაურება;

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემიდან 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდებარე თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. №7ა) სააპელაციო საჩივრის შეტანის გზით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის (მდებარე თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64) მეშვეობით.

მოსამართლე

6.



ნათია ზუსკაძე